განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმები და გამოყენებები
სამაგისტრო პროგრამა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

22-23 მარტი, 2021 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი
25.05.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმები და გამოყენებები
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	მათემატიკის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მათემატიკა - 0541
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	N/A
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 17 ოქტომბრის # 100 გადაწყვეტილება)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**რომეო გალდავა**, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ვლადიმერ ბალაძე**. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბათუმი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**გიგი გიოშვილი**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა **"თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმები და გამოყენებები"** აკრედიტებულ რეჟიმში ხორციელდება 2011 წლიდან. პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს, რომელიც მოიცავს სავალდებულო (60 კრედიტი), არჩევითი (30 კრედიტი) კომპონენტებს და სამაგისტრო ნაშრომს - 30 კრედიტი; კვალიფიკაცია - **მათემატიკის მაგისტრი - 0541**.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 22 - 23 მარტს, ონლაინ რეჟიმში ზუმის პლატფორმის გამოყენებით. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა, მათ შორის: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებელთან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა დაწესებულების მიერ წინასწარ მოწოდებული ვიდეო და ფოტო მასალის მეშვეობით. ასევე, დისტანციურად, ზუმის პლატფორმის საშუალებით, განხორციელდა სტუდენტთა მართვის სისტემისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოების/სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა. ასევე შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა 3 სამაგისტრო ნაშრომი. დაწესებულებამ თავის მხრივ უზრუნველყო მშვიდ, აკადემიურ გარემოში ვიზიტის პროცესის განხორციელება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით დადგინდა, რომ:

- **პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**.
- მეორე სტანდარტის 2.3 ქვესტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო დანარჩენი ქვესტანდარტები (2.1, 2.2, 2.4, 2.5, 2.6) შესაბამისობაშია, შესაბამისად **მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**;
- მესამე სტანდარტის 3.2. ქვესტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 3.1 სტანდარტი შესაბამისობაშია, შესაბამისად **მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**;
- მეოთხე სტანდარტის 4.1. ქვესტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო დანარჩენი ქვესტანდარტები (4.2, 4.3, 4.4) შესაბამისობაშია, შესაბამისად **მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**;
- **მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**.

- **რეკომენდაციები**
  1. რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსებში **„პოტენციალთა მეთოდი დრეკადობის თეორიაში“**, **„პოტენციალთა მეთოდი მათემატიკურ ფიზიკაში“**, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, მეცადინეობის სალექციო ფორმა ჩანაცვლდეს ლექცია/პრაქტიკული მეცადინეობების ან სხვა მსგავსი კომბინირებული ფორმით;
  2. სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი იყოს მხოლოდ შესაბამისი მიმართულების/დარგის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი;
  3. რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  1. სასურველია, პროგრამაზე დაშვების ერთერთი წინაპირობა - **„ბაკალავრის ხარისხი მათემატიკაში ან მონათესავე დარგებში“** ჩამოყალიბდეს უფრო კონკრეტულად, ვინაიდან ტერმინი **„მონათესავე“** ამ შემთხვევაში იწვევს გაუგებრობას.
  2. სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში მიეთითოს პროგრამაზე მობილობითა და საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის შესაძლებლობა არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
  3. სასურველია, სტუდენტებს ჰქონდეთ შესაბამისი დონის უცხო ენის, მათ შორის პროფესიული უცხო ენის შესწავლის საშუალება არჩევითი სასწავლო კურსების სახით.
  4. სასურველია სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო/დასკვნითი შეფასება მოხდეს მხოლოდ რეცენზენტისა და კომისიის წევრების მიერ, ხოლო ხელმძღვანელმა ამ პროცესში არ მიიღოს მონაწილეობა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის - **„ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კლინიკა“** მონაწილეობა.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

  2011 წლის 17 ოქტომბრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს # 100 გადაწყვეტილების საფუძველზე და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესაბამისად პროგრამაში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები, კერძოდ:
  დაიხვეწა სასწავლო კურსების სილაბუსები, გაიწერა დამოუკიდებელი საათები, სასწავლო კურსის ფორმატი, შეფასების კომპონენტები, სალექციო თემატიკა აისახა საკონტაქტო საათებში.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია, შეესაბამება **უნივერსიტეტის მისიას - „ცოდნის შექმნა, გადაცემა და გამოყენება მეცნიერების წინსვლის და საზოგადოებრივი განვითარებისთვის როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე“.** **პროგრამის მიზნები მკაფიოდ** ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომელიც მიმართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ; ითვალისწინებს მეცნიერების, სახელმწიფოს და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს; საჯარო და ხელმისაწვდომია; გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. **სამაგისტრო პროგრამის მიზანია** მოამზადოს კონკუტენტუნარიანი კურსდამთავრებულები წარმატებული პროფესიული კარიერისთვის ან სწავლის შემდგომი საფეხურისთვის, რომლებსაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა თანამედროვე მათემატიკის მნიშვნელოვანი, უნივერსალური და ფართოდ გამოყენებადი პარადიგმების, კონცეფციებისა და მეთოდების შესახებ; შეძლებენ მათემატიკის არჩეულ სფეროში კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას; დაუფლებულნი იქნებიან მათემატიკის გამოყენებით ასპექტებს, რაც გულისხმობს განზოგადებისა და აბსტრაგირების გზით აქტუალური ამოცანების გადაწყვეტისათვის საჭირო მიდგომების გამომუშავებას. სხვადასხვა მხარეებთან შეხვედრების შემდეგ დადასტურდა, რომ განვითარების პროცესში ჩართულები იყვნენ დაინტერესებული მხარეები, ჩატარდა შესაბამისი კვლევა პროგრამის შეფასების მიზნით. მიღებული უკუკავშირი გამოყენებული იყო პროგრამის განახლების და მისი დახვეწის პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • *უნივერსიტეტის მისია;* • *საგანმანათლებლო პროგრამა;* • *უნივერსიტეტის ვებ გვერდი;* • *ინტერვიუს შედეგები.*
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. **პროგრამის სწავლის შედეგებია:** • თანამედროვე მათემატიკური მეცნიერების მნიშვნელოვანი, უნივერსალური და ფართოდ გამოყენებადი შედეგების, პარადიგმებისა და მეთოდების ღრმა და სისტემური ცოდნა; • აქტუალურ ამოცანათა ფართო სპექტრის (მათ შორის, პრაქტიკული ხასიათის ამოცანების) ამოსახსნელად მათემატიკური მეთოდების გამოყენებისა და მათემატიკური მოდელების შექმნის და გამოკვლევის უნარი; • კვლევის შერჩეულ სფეროში არსებული ცოდნის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე საკვლევი თემატიკის შერჩევის, კვლევის პროცესის დაგეგმვის, თანამედროვე მეთოდების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებისა და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; • აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე მათემატიკური იდეების, კონტექსტის, საკუთარი არგუმენტებისა და დასკვნების კომუნიკაციის უნარი როგორც ზეპირად, ასევე წერილობით, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; • ავტონომიურად მოქმედების უნარი სწავლებისა და კვლევის პროცესში და ავლენს საკუთარ მეცნიერულ ხედვასა და პროფესიულ დამოკიდებულებას. ჩამოყალიბებული შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია; შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონესა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას; შეესაბამება სფეროს სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს; პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა); პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად

საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს თითოეული სწავლის შედეგისთვის შესაბამის ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებს. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. კერძოდ: პროგრამის ინდიკატორები და სამიზნე ნიშნულები წარმოადგენს პროგრამის შედეგების პირდაპირი შეფასების მექანიზმს, ხოლო სტუდენტების ყოველსემესტრული გამოკითხვები, დამამთავრებელი სემესტრების სტუდენტების და ასევე, კურსდამთავრებულების პერიოდული გამოკითხვები გამოყენებული იქნება, როგორც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მექანიზმი. პროგრამის როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება პროგრამის სწავლის შედეგების/ინდიკატორების შემდგომი გაუმჯობესებისთვის. პროგრამასთან დაკავშირებული შეფასების პროცესების სისტემატიზაციის მიზნით, გამოყენებული იქნება პროგრამის პერიოდული შიდა თვითშეფასების მექანიზმი და შესაბამისი ინსტრუმენტი. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პროცესში გამოყენებული იყო პროგრამის გარე შეფასება, დამსაქმებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების უკუკავშირი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • *საგანმანათლებლო პროგრამა;* • *პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;* • *შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;* • *პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;* • *კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;* • *კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი;* • *ინტერვიუს შედეგები.*
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • დაიხვეწა სასწავლო კურსების სილაბუსები, გაიწერა დამოუკიდებელი საათები, სასწავლო კურსის ფორმატი, შეფასების კომპონენტები, სალექციო თემატიკა აისახა საკონტაქტო საათებში. • შეიცვალა და განახლებული მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბდა პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სტრუქტურა; განახლდა სასწავლო კურსების მიზნები, სწავლის შედეგები და შინაარსი; განახლდა სწავლის შედეგების რეკა.
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი **სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:** • სამაგისტრო პროგრამაზე: **"თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმები და გამოყენებები"** მიღება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე. • პროგრამაზე დაიშვებიან აპლიკანტები, რომელთაც მოპოვებული აქვთ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მათემატიკაში ან მონათესავე დარგებში. აღნიშნული პირობები უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების შესაბამის, გამჭვირვალე და სამართლიან პირობებს, თუმცა, მიგვაჩნია, რომ წინაპირობა **„ბაკალავრის ხარისხი მათემატიკაში ან მონათესავე დარგებში"** საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან ტერმინი **„მონათესავე"** ამ შემთხვევაში იწვევს გაუგებრობას. ამავე დროდ, სასურველი იქნება, თუ აქვე მითითება პროგრამაზე მობილობითა და საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის შესაძლებლობა არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. ვიზიტის პროცესში გადამოწმდა შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის საკითხები, რითაც დადასტურდა მათი შესაბამისობა წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამასთან. ინფორმაცია მისაღები გამოცდების პირობების, მოთხოვნების, შეფასების კომპონენტების და კრიტერიუმების შესახებ დეტალურად მოცემულია „პროგრამაზე მიღების დოკუმენტში" და თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში "მიღება".
მტკიცებულებები/ინდიკატორები • *საგანმანათლებლო პროგრამა;* • *უნივერსიტეტის ვებგვერდი და ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები;* • *ინტერვიუს შედეგები.*
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია პროგრამაზე დაშვების ერთერთი წინაპირობა - **„ბაკალავრის ხარისხი მათემატიკაში ან მონათესავე დარგებში"** ჩამოყალიბდეს უფრო კონკრეტულად, ვინაიდან ტერმინი **„მონათესავე"** ამ შემთხვევაში იწვევს გაუგებრობას. • სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში მიეთითოს პროგრამაზე მობილობითა და საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის შესაძლებლობა არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესისა და პროცედურების მიხედვით, რომელიც მოიცავს პროგრამის შემუშავებისა და დაგეგმვის ძირითად პრინციპებსა და მასთან დაკავშირებულ ყველა პროცესს. სამაგისტრო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის შინაარსი შეესაბამება სწავლების სამაგისტრო საფეხურს და ითვალისწინებს დაშვების წინაპირობას. კურიკულუმი შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტებისგან, რომლებშიც ასახულია დარგის თანამედროვე ტენდენციები და გამოყენებულია უახლესი სასწავლო მასალები და რესურსები. პროგრამას ახლავს კომპეტენციათა რუკა (რომელიც ადგენს მიმართებას პროგრამის კომპონენტებსა და სწავლის შედეგებს შორის) და სემესტრული განაწილების გეგმა (რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო კომპონენტთა თანმიმდევრობასა და მთლიანობას). სამაგისტრო პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს და შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: • **სავალდებულო კურსები - 60 კრედიტი;** • **არჩევითი კურსები - 30კრედიტი.** • **სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი** **არჩევითი კურსები** თავის მხრივ მოიცავს: • სპეციალობის არჩევით კურსებს - 18 კრედიტი; • საუნივერსიტეტო არჩევითი კურსები - 12 კრედიტი, რომელიც სტუდენტს შეუძლია დააგროვოს როგორც ე. წ. „საუნივერსიტეტო“ ასევე სპეციალობის არჩევითი კურსების ბლოკიდან. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ მათზე დაშვების

წინაპირობები ლოგიკურად არის განსაზღვრული პროგრამის სტრუქტურაში. პროგრამის კომპონენტები ლოგიკურად ებმის ერთმანეთს, ორიენტირებულია პროგრამით გათვალისწინებული მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევაზე, ხოლო წინაპირობების არსებობა უზრუნველყოფს ცოდნის თანმიმდევრულ აკუმულირებას და გრადაციას. პროგრამა სრულდება სამაგისტრო ნაშრომით (30 კრედიტი), რომლის მიზანია მათემატიკის შერჩეული მიმართულებით სტუდენტს განუვითაროს დამოუკიდებლად კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების უნარები თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა); უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს პროცესში გაირკვა, რომ მათი ნაწილისათვის მნიშვნელოვანი იყო შესაბამისი დონის უცხო ენის, მათ შორის პროფესიული უცხო ენის შესწავლის შესაძლებლობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • *საგანმანათლებლო პროგრამა;* • *სასწავლო კურსების სილაბუსები;* • *კურიკულუმის რუკა;* • *უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;* • *პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები;* • *უნივერსიტეტის ვებგვერდი;* • *ინტერვიუს შედეგები.*
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ შესაბამისი დონის უცხო ენის, მათ შორის პროფესიული უცხო ენის შესწავლის საშუალება არჩევითი სასწავლო კურსების სახით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო

კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსი შეესაბამება სამაგისტრო საფეხურისთვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კრედიტების რაოდენობა განსაზღვრულია მისი შინაარსის, მისაღწევი შედეგებისა და დატვირთვის გათვალისწინებით. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები. კურსის სწავლების შედეგების შეფასება დეტალურად არის მოცემული კურსის სილაბუსში და მოიცავს შესაბამის შეფასების კომპონენტებსა და კრიტერიუმებს/რუბრიკებს. პროგრამა თავისი სტრუქტურით, წინაპირობებით, სწავლების მეთოდებითა და რესურსებით იმგვარადაა ორგანიზებული, რომ შესაძლებელს ხდის სტუდენტს განუვითაროს პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპეტენცია. კომპეტენციების მიღწევა უზრუნველყოფილია თითოეული სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული უახლესი ლიტერატურითა და სასწავლო რესურსებით, რომლებიც წარმოადგენს სფეროსათვისფეროსათვის აქტუალურ, რელევანტურ, თანამედროვე ტენდენციებისა და მიღწევების ამსახველ მასალას. რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში (**პოტენციალთა მეთოდი დრეკადობის თეორიაში, პოტენციალთა მეთოდი მათემატიკურ ფიზიკაში**) მეცადინეობის ფორმა არის მხოლოდ ლექცია, შეფასების ერთერთი კომპონენტი კი მეცადინეობებზე აქტიურობაა, სადაც მითითებულია, რომ **„სტუდენტმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მეცადინეობებზე - აჩვენოს, რომ გაცნობილია განვლილ თემებსა და შესაბამისი ამოცანების ამოხსნის მეთოდებს. დასვას გააზრებული შეკითხვები ამ თემების შესახებ. სწორი პასუხი გასცეს დასმულ კითხვებს და ა. შ“**. ჩვენი აზრით, შესაბამისი კომპონენტის შეფასება შეუძლებელია მხოლოდ სალექციო ფორმატში და აუცილებელია პრაქტიკული მეცადინეობების ან სხვა მსგავსი ფორმატის დამატება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • *საგანმანათლებლო პროგრამა;* • *სასწავლო კურსების სილაბუსები;* • *კურიკულუმის რუკა;* • *სილაბუსებში ასახული სასწავლო მასალა/რესურსი* • *უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები: http://library.iliauni.edu.ge/;* • *ინტერვიუს შედეგები.*
რეკომენდაციები: რეკომენდირებულია, რომ სასწავლო კურსებში **„პოტენციალთა მეთოდი დრეკადობის თეორიაში“, „პოტენციალთა მეთოდი მათემატიკურ ფიზიკაში“**, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, მეცადინეობის სალექციო ფორმა ჩანაცვლდეს ლექცია/პრაქტიკული მეცადინეობების ან სხვა მსგავსი კომბინირებული ფორმით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამა გარდა დარგისთვის საჭირო თეორიული ცოდნისა, ორიენტირებულია კვლევითი უნარების განვითარებაზე, რომელთა განვითარება გათვალისწინებულია როგორც სასწავლო კომპონენტების, ასევე სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში, რომლებშიც სტუდენტი დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს დარგში რელევანტურ და აქტუალურ კვლევას თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები არიან პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლებსაც აქვთ მნიშვნელოვანი სამეცნიერო მიღწევები და კვლევის ხელმძღვანელობის მრავალწლიანი გამოცდილება. აღნიშნული კვლევები ხორციელდება ფუნდამენტური და ინტერდისციპლინარული მათემატიკის კვლევების ინსტიტუტის ბაზაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • *სამაგისტრო პროგრამა;* • *სასწავლო კურსების სილაბუსები;* • *აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;* • *ფუნდამენტური და ინტერდისციპლინარული მათემატიკის კვლევების ინსტიტუტის დებულება* • *ინტერვიუს შედეგები.*
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლების პროცესი მიმდინარეობს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კომპონენტისათვის შერჩეულია რელევანტური სწავლება-სწავლის მეთოდები, რომელიც შესაბამისობაშია სასაწავლო კურსის/კომპონენტის შინაარსთან, მიზნებთან და შესაძლებელს ხდის კურსით/კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში გამოიყენება სწავლების სხვადასხვა თანამედროვე მეთოდი, მათ შორის: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეთოდები, დისკუსია/დებატები, ანალიზი და სინთეზი, დემონსტრირების მეთოდი, სუპერვიზია და რეფლექსია, ელექტრონული სწავლების ელემენტები და სხვ. აღნიშნული მეთოდები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში.

სტუდენტთა განსხვავებული მოთხოვნებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. მსგავსი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებს, მათ აკადემიურ მომზადებასა და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს, მოქნილ სასწავლო გეგმას, სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს. ამავე მიზნებისთვის გამოიყენება ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან, რომელიც შეიძლება დაინიშნოს წინასწარ, შეხვედრების საათების ფარგლებში, ან სტუდენტის ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე **"არგუსის"** ან საუნივერსიტეტო ელ-ფოსტის საშუალებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, აგრეთვე შეიძლება შეიქმნას უნივერსიტეტის მიერ ინიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაშიც.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობს უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი - **„ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კლინიკა"**.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *სამაგისტრო პროგრამა;*
- *სასწავლო კურსების სილაბუსები;*
- *უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;*
- *არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა: „არგუსი" www.argus.iliauni.edu.ge;*
- *უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი - **„ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კლინიკა"**.*

• *ინტერვიუს შედეგები.*
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის - **„ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კლინიკა“** მონაწილეობა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, რაც მთავარია გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. სტუდენტების შეფასება ხდება სასემინარო აქტივობებში მონაწილეობით, პრეზენტაციებით, შუალედურით და დასკვნითი გამოცდით. სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გაწერილია სასწავლო კურსის სილაბუსებში შესაბამისი კომპონენტების მიხედვით და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. უნივერსიტეტში არსებობს აპელაციის სისტემა და სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ნახოს თავისი ნაწერი ან შესაბამისი კომისიის თანდასწრებით განიხილოს გამოცდის ქულა. ინტერვიუების დროს გამოირკვა, რომ სტუდენტები უნივერსიტეტში არსებული შეფასების მექანიზმების შესახებ ფლობენ ამომწურავ ინფორმაციას. აკადემიური პერსონალი ითვალისწინებს სტუდენტის ინტერესებს ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით და რეაგირებს სტუდენტის თხოვნასა და წინადადებაზე. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების შედეგად შეიძლება დავადგინოთ, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის პროგრესის პერიოდულ შეფასებას. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა საჯაროა. სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომს იცავს ხელმძღვანელის, შესაბამისი კომისიისა და რეცენზენტის წინაშე. მაგისტრანტის საბოლოო შეფასების პროცედურები რეგულირდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ

დამტკიცებული დებულებით. რეგულაციებიდან გამოირკვა, რომ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებაში (ქულობრივად) მონაწილეობას იღებს ხელმძღვანელი, რეცენზენტი და შესაბამისი კომისია. სასურველი იქნება თუ სამაგისტრო ნაშრომის შეფასება მოხდება მხოლოდ რეცენზენტისა და კომისიის მიერ, ხოლო ხელმძღვანელი ამ პროცესში არ მიიღებს მონაწილეობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • *ინტერვიუ სტუდენტებთან;* • *ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან;* • *პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;* • *სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;* • *სასწავლო პროგრამა და სილაბუსები.*
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველი იქნება თუ სამაგისტრო ნაშრომის შეფასება მოხდება მხოლოდ რეცენზენტისა და კომისიის წევრების მიერ, ხოლო ხელმძღვანელი ამ პროცესში არ მიიღებს მონაწილეობას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრამა (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და თვითშეფასების ანგარიშის შესწავლისა და ანალიზის, ასევე ადგილზე განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში, სტუდენტებთან ინტერვიუების დროს, გამოიკვეთა ძირითადი სურათი ამ მიმართულებით. დაწესებულების ბაზაზე, მოქმედებს შიდა კომპლექსური დანიშნულების ვებგვერდი, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს, ინდივიდუალური პროფილის გამოყენებით, შესაძლებლობა აქვთ კომუნიკაცია დაამყარონ, დაწესებულების აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან. სტუდენტების ინფორმირებულობისთვის, უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს, ელექტრონული მიმოწერის საშუალებებს და უნივერსიტეტის ვებგვერდს. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი საჭირო ინფორმაციას იღებს უნივერსიტეტის, როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალისგან. დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს სტუდენტებთან კონსულტაციებს, სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. სტუდენტები კითხვარების საშუალებით აფასებენ გავლილი სასწავლო კურსის სირთულეს, საჭიროებას და ლექტორის ცოდნისა და უნარების შესაბამისობას. ინტერვიუების დროს, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი პროგრამის განვითარების პროცესში ითვალისწინებს სტუდენტთა რეკომენდაციებს. სტუდენტებს შეუფერხებელი წვდომა აქვთ სასწავლო კურსის სილაბუსებსა და მასში მითითებულ ლიტერატურაზე. აღნიშნული პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ დაწესებულების ეგიდით გამართულ სასწავლო-სპორტულ ღონისძიებებში, ასევე საერთასორისო პროექტებშიც. უნივერსიტეტში გამართულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სტუდენტს სრული წვდომა აქვს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებზე. უნივერსიტეტში შექმნილი გარემო არსებულ სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • *პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;* • *მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან;* • *კითხვარები და ანალიზი;* • *უნივერსიტეტის ვებგვერდი;* • *ინტერვიუ სტუდენტებთან;* • *ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან.*

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების შესაბამისად სამაგისტრო ნაშრომის ხელძღვანელი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება მაგისტრანტის ნაშრომის ზოგად თემატიკას/მიმართულებას. კერძოდ, სამაგისტრო ნაშრომის ხელძღვანელი შეიძლება იყოს: • პროგრამაში ჩართული პროფესორი/პროფესორები; • პროგრამის განხორციელებაში ჩართული მოწვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის მიმართულებაში/დარგში დოქტორის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და შესაბამის/მომიჯნავე საკითხების კვლევის გამოცდილება; • მათემატიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი, რომელსაც აქვს დაცული პროსპექტუსი ან გამოქვეყნებული აქვს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი პუბლიკაცია. ხელმძღვანელის ძირითადი ვალდებულებები/მოვალეობები: • დაეხმაროს სტუდენტს საკვლევი თემატიკის/პრობლემის შერჩევაში; • სამაგისტრო ნაშრომის განხორციელების პროცესში სტუდენტს გაუწიოს რეგულარული კონსულტაცია ნაშრომის შესრულებისთვის გამოყენებულ მეთოდოლოგიასთან /დიზაინთან; • გაეცნოს სტუდენტის მიერ წარდგენილ კვლევის გეგმას და პროგრესის ანგარიშებს; • შეამოწმოს წარდგენილი ნაშრომი პლაგიატზე; • დაადასტუროს დაცვისთვის მისი წარდგენის მიზანშეწონილობა. დეტალური ინფორმაცია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის პროცესთან დაკავშირებით მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში. უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის პროცესში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სამი სამაგისტრო ნაშრომი. შერჩეული ნაშრომები სრულად შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომთან წამოყენებულ მოთხოვნებს, შესაბამისი სტანდარტების დაცვითაა შესრულებული და ასახავს მათემატიკის მნიშვნელოვან და გამოყენებად შედეგებს. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით მიგვაჩნია, რომ

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს მხოლოდ შესაბამისი მიმართულების/დარგის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, ვინაიდან მათ გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა და კომპეტენცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • *სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია;* • *პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;* • *წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომები.*
რეკომენდაციები სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე რეკომენდირებულია, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი იყოს მხოლოდ შესაბამისი მიმართულების/დარგის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. მათი კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებითა და პრაქტიკული გამოცდილებით. აკადემიური პერსონალის შერჩევა სამართლიანი და გამჭვირვალე კონკურსის წესით ხორციელდება.

პროგრამაში ჩართულია 5 აკადემიური (4 პროფესორი და 1 ასოცირებული პროფესორი) და ერთი მოწვეული პერსონალი. სტუდენტთა რაოდენობა სამაგისტრო პროგრამაზე შეადგენს 30 სტუდენტს. ამავე დროს აღნიშნული პერსონალი ახორციელებს საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამებს, ჩართულია სხვადასხვა საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგამების სწავლების პროცესში (იგულისხმება პროგრამები, სადაც იკითხება მათემატიკის მიმართულების სასწავლო კურსები). აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რაც კიდევ უფრო გაზრდის პროგრამის მდგრადობას და რაც მნიშვნელოვანია, აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობას.

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგში წამყვანი მეცნიერი შესაბამისი საერთაშორისო გამოცდილებით. ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შეფასების და განვითარების პროცესში, რაც განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების შეფასების წესში და პროგრამის შეფასების კრიტერიუმებში. ამასთანავე, პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა საორიენტაციო თუ სხვა სახის შეხვედრებსა და აქტივობებში.

პროგრამის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების

ფაკულტეტი, რომელიც უზრუნველყოფილია შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • *აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;* • *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;* • *აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;* • *აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა;* • *აკადემიური და მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი;* • *ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა;* • *აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ნიმუშები;* • *ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები და სამუშაო აღწერილობები;* • *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობები;* • *საკვალიფიკაციო მოთხოვნები;* • *გამოცხადებული კონკურსები;* • *ვაკანსიებზე შეტანილი განცხადებები;* • *ინტერვიუს შედეგები.*
რეკომენდაციები: • **რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრამული (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს შეფასების კონკრეტულ მეთოდებსა და ინსტრუმენტებს. კერძოდ, აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს კვლევასთან და სწავლებასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასებასა და ანალიზს აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, ხოლო მოწვეული პერსონალის შემთხვევაში - სწავლების

შეფასებას. შეფასების შედეგები გამოყენებულია პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, მათი წახალისებისა და დაწინაურებისთვის.

უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ამ მიზნით უნივერსიტეტში შეიქმნა **„აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი“**, რომელიც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდებთან, აგრეთვე პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებით ტრენინგ მოდულების შექმნასა (მაგ. უკვე შექმნილია სწავლის შედეგების შეფასების ტრენინგ-მოდული ABET აკრედიტაციის სტანდარტების გათვალისწინებით) და დანერგვას აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდება პროგრამაში ჩართული პერსონალის კმაყოფილების კვლევები უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ სერვისებთან დაკავშირებით. აღნიშნული კვლევების შედეგად გამოვლენილი საჭიროებები დაედო საფუძვლად უნივერსიტეტში დაგეგმილიყო სწავლა-სწავლებასთან და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებული პროფესიული გადამზადების მოდული და ამ მიზნით გამოყენებულ იქნა ისეთი რესურსები, როგორც არის Erasmus + პროექტები, კერძოდ:

- **“აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისთვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში”** (INTEGRITY), რომელიც ითვალისწინებს მასწავლებლების (აკადემიური და მოწვეული პერსონალის) გადამზადების მიზნით სტუდენტების შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით ტრეინინგ მოდულების შემუშავებას და დანერგვას;
- **“შეფასების მექანიზმები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახლებური სასწავლო გარემოს ჩამოსაყალიბებლად”** (ASSET), რომლის განხორციელების შედეგად ბენეფიციარ უნივერსიტეტებში მოხდება აკადემიური პერსონალის გადამზადება და შეფასების ახლებური მექანიზმების დანერგვა სასწავლო პროგრამებში;
- **„ცვლილება საკლასო ოთახში: ინოვაციური სწავლებისა და სწავლის წახალისება სტუდენტთა სასწავლო გამოცდილების გასაუმჯობესებლად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“** (PRINTeL), რომელიც ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის განვითარებისთვის ინფრასტრუქტურულ გაძლიერებას და ინოვაციური მასწავლებელთა ტრეინინგ-პროგრამების შემუშავებას და დანერგვას.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მკვლევრების კვლევით საქმიანობას მხარდაჭერას უწევენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები, სამეცნიერო კვლევების კოორდინაციისა და განვითარების სამსახურები. სამსახურები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კოორდინაციას უწევენ და მხარს უჭერენ უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს და აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოზიდვასა და განხორციელებაში. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცესს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური.

აღსანიშნავია, რომ ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე პროგრამისა და დარგის მხარდაჭერისა და აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, ფუნქციონირებს ფუნდამენტური და ინტერდისციპლინარული მათემატიკის კვლევების

ინსტიტუტი, რომლის ფარგლებშიც იგეგმება და ხორციელდება როგორც თეორიული, ასევე ინტერდისციპლინარული ფუნდამენტური კვლევები საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის საფუძველზე.

უნივერსიტეტში მოქმედებს რეგულაცია, რომლის მიხედვითაც ხდება აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერა საერთაშორისო კონფერენციებსა და ვორკშოპებში მონაწილეობისთვის.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს **განვითარების სამსახური,** რომელიც ხელს უწყობს უნივერსიტეტის მკვლევრებისა და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობას საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტებში კვლევისა და სწავლების მიმართულებით და უზრუნველყოფს შესაბამისი დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირებას და მოზიდვას; განვითარების სამსახური სთავაზობს მხარდამჭერ სერვისებს: დახმარებას საპროექტო განაცხადების მომზადებასა და წარდგენაში; საერთაშორისო კვლევითი კონსორციუმების ფორმირებას; გრანტების ადმინისტრირებაში დახმარებას; კვლევით ჯგუფებთან და დონორებთან ურთიერთობების გაღრმავებას; საერთაშორისო სამეცნიერო და კვლევითი შეხვედრების ორგანიზებას; საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან და ცენტრებთან თანამშრომლობის ხელშეწყობას; ინფორმაციის გავრცელებას საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ. კვლევასთან დაკავშირებული სერვისის გაუმჯობესების მიდგომები და პრინციპები ასახულია უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციაში.

2017 წლიდან უნივერსიტეტში ფუნქციონირებს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო, რომელიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევის დღის წესრიგის განსაზღვრა/განვითარებასა და კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცესების რეგულირებას. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დებულებით. ამავე საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე უნივერსიტეტი ყოველწლიურად გამოჰყოფს ინსტიტუციური განვითარების გრანტებს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ წარდგენილი პროექტებისთვის, რომელიც ემსახურება კვლევითი და საგანმანათლებლო პროცესების ხელშეწყობას.

ასევე, პროფესიული განვითარების მიზნით, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, უნივერსიტეტი სთავაზობს საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობას წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებში, თემატურ ტრენინგებს, ლექციებსა და კონფერენციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;*
- *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესში ჩართულ მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;*
- *პერსონალის კვლევა სერვისებთან დაკავშირებით;*
- *აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები და მოქმედი ხელშეკრულებები, რომლებიც ხელმისაწვდომია ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში;*
- *გაცვლითი პროგრამები:*
- *Erasmus + CBHE პროექტები:*
- *აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლების განვითარების ცენტრი (TSDC) სამოქმედო გეგმა;*
- *კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი;*

- *ფუნდამენტური და ინტერდისციპლინარული მათემატიკის კვლევების ინსტიტუტის დებულება;*
- *კვლევების კოორდინაციის სამსახურის დებულება;*
- *განვითარების სამსახურის დებულება;*
- *ინტერვიუს შედეგები.*

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და აღჭურვილობით, რაც აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც თავისი შინაარსით არის ინფორმაციული რესურსცენტრი, სადაც მაქსიმალურად ხელმისაწვდომია სასწავლო და სამეცნიერო პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი სასწავლო და საინფორმაციო რესურსი.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მომხმარებელს საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით და მოიცავს:

- სამკითხველო დარბაზებს: ილიას დარბაზი (მრავალფუნქციური), სულხან-საბა ორბელიანის დარბაზი (მრავალფუნქციური), ლიტერატურის დარბაზი "ლიგამუსში", ნიდერლანდური ენისა და კულტურის ცენტრის დარბაზი, გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის დარბაზი, ბოტანიკის ინსტიტუტის დარბაზი, ევგენი ხარაძის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დარბაზი, ავსტრიული ცენტრის დარბაზი, იტალიური ენის ცენტრის დარბაზი.
- ჯგუფური მუშაობის სივრცეს სულხან-საბა ორბელიანის დარბაზში.
- ილიას დარბაზში მოქმედებს მულტიმედია რესურსებითა და შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი კუთხე.
- ორი კომპიუტერული რესურსცენტრი. კომპიუტერები ხელმისაწვდომია ღია დაშვებით.
- საბიბლიოთეკო სივრცეში, კერძოდ, ორ კომპიუტერულ რესურსცენტრში ფუნქციონირებს ასლის გადაღებისა და ამობეჭდვის ორი პუნქტი (სულ სამი ასლგადამღები).
- შეხვედრებისა და ტრენინგების ოთახი, რომელიც მდებარეობს ილიას დარბაზში.
- წიგნსაცავები, რომელიც განთავსებულია როგორც დარბაზებთან, ასევე დამოუკიდებლად.

- ბიბლიოთეკაში მომუშავე ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია შესაბამისი სამუშაო სივრცით.
- ბიბლიოთეკის დაქვემდებარებაში არსებული ყველა სივრცე უზრუნველყოფილია როგორც სადენიანი ინტერნეტით, ასევე დაფარულია უსადენო ინტერნეტით ღია წვდომის რეჟიმში.

ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის ბიბლიოთეკა მომხმარებელს სთავაზობს მუდმივად განახლებად წიგნად ფონდს. ახალი წიგნების შესახებ ინფორმაცია სისტემატურად თავსდება ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში, რათა მომხმარებელი ინფორმირებული იყოს ახალი რესურსის ხელმისაწვდომობის შესახებ.

უნივერისტეტში არსებულ სკოლებთან და ფაკულტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ხდება სასწავლო პროგრამების სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურის იდენტიფიცირება და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში. ბიბლიოთეკა ასევე უზრუნველყოფს საკითხავი მასალის "რიდერის" დამზადებას როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით. ნაბეჭდი რიდერი ხელმისაწვდომია სამკითხველო დარბაზებში, ხოლო ელექტრონული - შესაბამის პორტალზე, რომელზეც წვდომა მხოლოდ საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტის გამოყენებითაა შესაძლებელი. აღნიშნული რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და განთავსებულია ბიბლიოთეკის ელექტრონულ საძიებო კატალოგში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მუდმივად ზრუნავს საერთაშორისო და აკადემიური ელექტრონული ბიბლიოთეკებისა და ბაზების კოლექციებზე ხელმისაწვდომობის განვითარებაზე. შესაბამისად, ბიბლიოთეკა, ამ კუთხით მუდმივად სთავაზობს მომხმარებელს სიახლეებს და ფლობს მდიდარ ელექტრონულ ბიბლიოთეკას. ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის ბიბლიოთეკის მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია ცნობილი საერთაშორისო აკადემიური ბაზები, ცალკეული ჟურნალები, ელექტრონული წიგნები და ბიბლიოთეკები და სხვ.

ბიბლიოთეკის მიერ შეთავაზებულ სერვისებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტრენინგებს: "სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენებისა" და "საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების გამოყენების შესახებ". აღნიშული ტრენინგები მნიშვნელოვანია, რათა მოხდეს მომხმარებლისთვის გაცნობა იმ რესურსებისა და სერვისების, რომლის გამოყენებასაც ბიბლიოთეკა სთავაზობს მათ სასწავლო და კვლევით პროცესში. გარდა ბიბლიოთეკის თანამშრომელთა მიერ ჩატარებული ტრენინგებისა, ბიბლიოთეკა საუნივერსიტეტო საზოგადოებას ასევე სთავაზობს საერთაშორისო ექსპერტებისა და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით სხვადასხვა ტრენინგებს, სამუშაო და საორიენტაციო შეხვედრებს, რომელიც ხელს უწყობს მათი ცნობიერების ამაღლებასა და უნარების გაუმჯობესებას ისეთ საკითხებში, რომელიც მნიშვნელოვან წილად დაეხმარება მათ სხვადასხვა აკადემიურ პროცესებში.

სასწავლო პროცესის მართვისა და მხარდაჭერისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს სპეციალურად შექმნილი პროგრამული სისტემა "არგუსი" - არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა. უნივერსიტეტი აღნიშნულ სისტემაში ახდენს ყველა სტუდენტის რეგისტრაციას, მათთვის სასწავლო კურსების შეთავაზებას, ელექტრონული სასწავლო მასალებისა და სილაბუსების განთავსებას. სისტემა „არგუსის" საშუალებით, სტუდენტი ირჩევს

სასწავლო კურსებს, ამოწმებს მიღებულ შეფასებებსა და დაგროვებულ კრედიტებს. სისტემა ასევე, გამოიყენება როგორც საკომუნიკაციო მედია აკადემიურ პერსონალს, სწავლის პროცესში ჩართულ სხვა პირებსა და სტუდენტებს შორის. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, „არგუსის“ საშუალებით მთელი წლის განმავლობაში ჰქონდეთ კონტაქტი სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელებთან, მიიღონ მათგან საჭირო ინფორმაცია და უკუკავშირი აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. სისტემა ასევე, არეგულირებს შიდა მობილობის პროცესებს და აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას, დაადგინოს მის მიერ გავლილი კურსებისა და დაგროვებული კრედიტების თავსებადობა სასურველ აკადემიურ მიმართულებასთან. სწავლების პროცესში ასევე გამოიყენება ისეთ ელექტრონული სისტემები, როგორიცაა Turnitn და Moodle. უნდა აღინიშნოს, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება მოხდა დაწესებულების მიერ წინასწარ მოწოდებული ვიდეო და ფოტო მასალის მეშვეობით. ასევე, დისტანციურად განხორციელდა სტუდენტთა მართვის სისტემისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება ზუმის პლატფორმის საშუალებით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოების/სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა. არსებული მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • *სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა "არგუსი" http://argus.iliauni.edu.ge;* • *უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები: http://library.iliauni.edu.ge;* • *ელექტრონული სწავლების პორტალი: http://moodle.iliauni.edu.ge;* • *ხელშეკრულება Turnitin სერვისის ლიცენზიის გადაცემის შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში;* • *ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელიც ხელმისაწვდომია მატერიალური რესურსებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურში;* • *პერსონალის და სტუდენტების სერვისებით კმაყოფილების კვლევის ანგარიში;* • *დაწესებულების მიერ წინასწარ მოწოდებული ვიდეო და ფოტო მასალა;* • *დისტანციურად განხორციელებული დათვალიერების შედეგები;* • *ინტერვიუს შედეგები.*
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრამა (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის უზრუნველყოფისათვის საჭირო ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია ერთიან საუნივერსიტეტო ბიუჯეტში, პროგრამის საჭიროებების შესაბამისი ფორმით და ეკონომიკურად მიღწევადია. პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს როგორც სახელფასო ხარჯს, ასევე პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადმინისტრირების, გადასახადების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის და მოვლა-შენახვის, პროგრამისთვის საჭირო სპეციალური ლიტერატურის, დამხმარე სასწავლო მასალების, საბიბლიოთეკო რესურსის და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სხვა გაუთვალისწინებელ ხარჯებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • *უნივერსიტეტის ბიუჯეტი;* • *პროგრამის ბიუჯეტი;* • *ინტერვიუს შედეგები.*
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. პროგრამის ხელმძღვანელი და სწავლებაში ჩართულ პერსონალი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის ხარისხზე. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი ითვალისწინებს საჭირო ინსტრუმენტებისა და მეთოდების გამოყენებას ხარისხიანი სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით. პროგრამის სამუშაო ჯგუფი გეგმავს შეფასების პერიოდულობას, უზრუნველყოფს შეფასებას და მიღებული მონაცემების საფუძველზე შეუმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამასთან ერთად, პროგრამის შედეგების შეფასების მიზნით, გამოიყენება სამიზნე ნიშნულები და განსაზღვრული ინდიკატორები, რაც აღწერილია პროგრამის რუკაში, სამიზნე ნიშნულების დოკუმენტსა და სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში. პროგრამების და მისი კომპონენტების შეფასების მიზნით, გამოიყენება „არგუსის“ ელექტრონულ სისტემაში არსებული ინტეგრირებული პროგრამის პაკეტი, რათა გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის პროგრამებში ჩართულმა სტუდენტების უმრავლესობამ. შეფასების შედეგები ხელმისაწვდომი ხდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის და ასევე, სასწავლო კომპონენტების განმახორციელებელი პირებისათვის (აკადემიური და მოწვეული პერსონალი). ეს არის ეფექტური საშუალება, რათა გაუმჯობესდეს კომპონენტების ხარისხი. ამასთან ერთად, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატურად ატარებს კურსდამთავრებულების კვლევას. კითხვარების მთავარი მიზანია, დადგინდეს პროგრამის ეფექტურობა კარიერის დასაწყისისთვის და ფასდება კურსდამთავრებულების კმაყოფილება შეთავაზებულ აკადემიურ პროგრამასთან მიმართებაში. აღნიშნული პროგრამის თვითშეფასების მიზნით შეიქმნა თვითშეფასების გუნდი, რომელიც შედგება პროგრამის ხელმძღვანელისგან, სწავლებაში ჩართული პერსონალისგან (ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები), დეკანისგან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებისგან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;*
- *უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევების ანგარიშები;*
- *კვლევის ინსტრუმენტები;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;*
- *უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები.*
- *პროგრამის განხორციელების შეფასების წესი;*
- *პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;*
- *პროგრამის რუკა; სამიზნე ნიშნულები; სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა.*
- *ელექტრონული სისტემა არგუსი, რომელიც უზრუნველყოფს არჩევანის გარემოს http://argus.iliauni.edu.ge/;*
- *ინტერვიუს შედეგები.*

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. კერძოდ, სამაგისტრო პროგრამის გარე შეფასების მიზნით პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და დიზაინის შემუშავებისა და დახვეწის პროცესში, გათვალისწინებული იყო როგორც დარგის ექსპერტის უკუკავშირი და შეფასება (გარე შეფასება განხორციელდა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის **გრიგორ გიორგაძის** მიერ), ასევე 2011 წელს აკრედიტაციის ექპერტთა მიერ გამოთქმული რეკომენდაცია და დამსაქმებლისგან მიღებული უკუკავშირი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *პროგრამის გარე შეფასების დოკუმენტი (ასოცირებული პროფესორის გრიგორ გიორგაძის შეფასება);*
- *აკრედიტაციის ექსპერტების 2011 წლის დასკვნა;*
- *დამსაქმებლის მიერ პროგრამის შეფასება.*

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. პროცესი მოიცავს ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს. უნივერსიტეტში პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მოიცავს „პირდაპირი“ და „არაპირდაპირი“ შეფასების ფორმებს. • არაპირდაპირი შეფასება გულისხმობს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებლების უკუკავშირს პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებაში; • პირდაპირი შეფასება მოიცავს ისეთ შეფასებების ფორმებს, როგორიცაა გამოცდები, პროგრამის კომპონენტების ფარგლებში შესრულებული დავალებები პროექტები და ა. შ. პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასებები გამოიყენება პროგრამის ხელმძღვანელისა და სწავლებაში ჩართული პერსონალის მიერ, როგორც პროგრამის გაუმჯობესების საშუალება. უნივერსიტეტში შემუშავებულია შიდა ხარისხის კონცეფცია, რომელშიც გათვალისწინებულია დაინტერესებული (შიდა და გარე) მხარეების მონაწილეობა შეფასების, მათ შორის პროგრამების შეფასების პროცესებში, სტრუქტურული ერთეულების მიერ შეფასების შედეგების გამოყენება საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესებისთვის. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ემსახურება უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას. აღნიშნული პროცესების ფარგებში გამოიყენება სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები, რომელთა შედეგებზე დაყრდნობით მიიღება გადაწყვეტილებები დაწესებულების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის. აღნიშნული კვლევები და შეფასებები ხორციელდება თვისებრივი, რაოდენობრივი და შერეული მიდგომებით.

შიდა ხარისხის სისტემური კვლევების/შეფასებების მეშვეობით ხდება პროგრამების (სწავლა-სწავლების), კვლევის, სერვისების, რესურსების შეფასება განსაზღვრული პერიოდულობით. სისტემური კვლევები იძლევა რელევანტური მონაცემების შეგროვების, დინამიკაზე დაკვირვებისა და განვითარების ტენდენციების განსაზღვრის შესაძლებლობას. საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევების/შეფასებების მეშვეობით ხდება კონკრეტული პრობლემის მიზნობრივი კვლევა, რაც იძლევა პრობლემის სიღრმისეული შესწავლისა და მასზე ორიენტირებული ინტერვენციის განხორციელების შესაძლებლობას. შიდა ხარისხის კვლევების/შეფასებების მიზნებისთვის გამოიყენება როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდები. კვლევები ხორციელდება წინასწარ შემუშავებული ინსტრუმენტებით. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით გათვალისწინებული კვლევის შედეგები გამოიყენება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და სამსახურების მიერ საკუთარი საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებისა და სერვისების დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • *შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, მექანიზმები და ინსტრუმენტები;* • *პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების დოკუმენტები;* • *აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასების დოკუმენტები;* • *სასწავლო კურსის შეფასების მიზნით განხორციელებული აქტივობები;* • *უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები;* • *ინტერვიუს შედეგები.*
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური
თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმები და გამოყენებები, მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 33

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა /რომეო გალდავა/

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა /ვლადიმერ ბალაძე/

სახელი, გვარი, ხელმოწერა /გიგი გიოშვილი/